ხელშეკრულება № 60

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 21.12. 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის № 36 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი მაია კვინიკაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ლატერნა“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მიროტაძის სახით “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის № 24 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „ზოგადი განათლების ხელშეწყობისპროგრამის“(პროგრამული კოდი 32 02 12) „სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში წიგნების შესყიდვა, (CPV-22113000) - ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთების აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 572,75 (ხუთასსამოცდათორმეტილარიდა75თეთრი)ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მისამართზე ქ. თბილისი, სხულუხიას ქ. № 4.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ

შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 30.12.2016 წ-მდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს. „ლატერნა“	ს.ს.ი.პ. N 36 საჯარო სკოლა
ს.კ. N 401 949 077	ს.კ. 202887661
მისამართი	სხულუხიას ქ. № 4
ტელეფონი: 577 39 97 97	ტელ. N 2 95 32 64
თი ბი სი ბანკი: TBCBGE22	
GE89 TB76 3663 6020 1000 01	
დირექტორი:	დირექტორი:
გიორგი მირიტაძე	მაია კვინიკაძე

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ჟამისიცოცხლისადაჟამისიკვდილისა -ერიხ მარია რემარკი	ცალი	2	10,00	20.00
2	ტომ სოიერის თავგადასავალი -მარკ ტვენი	ცალი	2	7.90	15.80
3	შაგრენის ტყავი- ონორე დე ბალზაკი	ცალი	2	12,00	24.00
4	მარტინ იდენი- ჯეკ ლონდონი	ცალი	1	12,00	12.00
5	ცისფერი მთები -რეზო ჭეიშვილი	ცალი	2	6,9	13,80
6	ემილის თავგადასავალი-ასტრიდ ლინდგრენი	ცალი	2	9,9	19,80
7	ვარსკვლავის მტვერი -ნილ გეიმანი	ცალი	2	11,90	23,80
8	უთავო მხედარი-მაინრიდი	ცალი	1	15,00	15,00
9	დორიან გრეის პორტრეტი -ოსკარ უაილდი	ცალი	2	12,00	24,00
10	მაწანწალა რამუსი- ასტრიდ ლინდგრენი	ცალი	2	7,90	15,80
11	ჩარლზ დიკენსი - დევიდ კოპერფილდი	ცალი	2	12,00	24,00
12	იავნანამ რა ჰქმნა იაკობ გოგებაშვილი	ცალი	2	9,90	19.80
13	რემარკი-ტრიუმფალური თაღი	ცალი	1	14,00	14,00
14	ტოლკინი ჰობიტი	ცალი	2	10,00	20,00
15	შიმშილის თამაშები - სიუზენ კოლინზი #1	ცალი	2	9.9	19.80
	შიმშილის თამაშები - სიუზენ	ცალი	2	9.9	19.80

16	კოლინზი #2				
17	შიმშილის თამაშები - სიუზენ კოლინზი #3	ცალი	2	9.9	19.80
18	პატარა მაწანწალა-ჯეიმს გრინვუდი	ცალი	2	7,90	15,80
19	პატარა პრინცი- ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი	ცალი	2	6,90	13.80
20	უფლისწული და მათხოვარი -მარკ ტვენი	ცალი	2	7,90	15.80
21	ოლივერ ტვისტი-ჩარლზ დიკენსი	ცალი	2	12,00	24,00
22	80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ-ჟიულ ვერნი	ცალი	2	12,00	24,00
23	მარტოობის ასი წელიწადი-გაბრიელ გარსია მარკესი	ცალი	2	12,00	24,00
24	კორალაინი-ნილ გეიმანი	ცალი	2	8,90	17.80
25	ნ.დუმბაძე - მე ბებია ილიკო და ილარიონი	ცალი	1	6,95	6.95
26	ნ.დუმბაძე -მე ვხედავ მზეს	ცალი	2	6,95	13.90
27	ნ.დუმბაძე -მოთხრობები 2 ნაწ.	ცალი	2	6,95	13.90
28	ტუერაშვილი - ჯინსების თაობა	ცალი	2	6.90	13.80
29	დათა თუთაშხია-ჭაბუა ამირეჯიბი	ცალი	2	20,00	40,00
30	დედა მამა რვა ბავშვი და საბავშო მანქანა- ანა კატერინა ვესტი	ცალი	2	7,90	30,00
31	სამანიშვილის დედინაცვალი - დავით კლდიაშვილი	ცალი	1	12,00	12,00
ხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 75 თეთრი					572.75

დირექტორი:

დირექტორი:

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 22.12.2016წ.

ერთის მხრივ სსიპ თბილისის №36 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია კვინიკაძის სახით, (შემდგომში შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ლატერნა " (შემდგომსი „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მიროტაძის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

2016 წლის 21დეკემბრის №60 ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო წიგნები, ღირებულებით 572.75 (ხუთასსამოცდათორმეტილარი75თ.)ლარი.

აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ მხარეები ხელმოწერით.

ჩააბარა:

ჩაიბარა:

1	სასაქონლო ზედნადები №	ელ- 0280110815

2	22/12/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:57:09

დრო (საათი, წუთი)

4	შპს ლატერნა	401949077

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის #36 საჯარო სკოლა	202887661

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

მიწოდების სახე

7	ქ.თბილისი, ც. დადიანის 7 კ/ფ ა201

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	სხულუხიას #4

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ტრანსპორტირების სახე

10	

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	0.00

თანხა ლარებში

საასქონლო ზედნადების ცხრილი

N რიგითი	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII
1	ტომ სოიერის თავგადასავალი - მარკ ტვენი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 11	9789941159763	ცალი	2	7.90	15.80
2	უფლისწული და მათხოვარი - მარკ ტვენი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 11 - 12 წლიდან)	9789941235146	ცალი	2	7.90	15.80
3	დევიდ კოპერფილდი - ჩარლზ დიკენსი #9 (50 აუცილებელი)	9789941195105	ცალი	2	12.00	24.00
4	ემილის თავგადასავალი - ასტრიდ ლინდგრენი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 9-10 წლიდან)	9789941231216	ცალი	2	9.90	19.80
5	ოლივერ ტვისტი - ჩარლზ დიკენსი #33 (49 აუცილებელი)	9789941215889	ცალი	2	12.00	24.00
6	მაწანწალა რასმუსი - ასტრიდ ლინდგრენი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 9-10 წლიდან)	9789941235610	ცალი	2	7.90	15.80
7	მე, ბებია, ილიკო და ილარიონი - ნოდარ დუმბაძე	9789941199769	ცალი	1	6.95	6.95
8	80 000 კილომეტრი წყალქვეშ - ჟიულ ვერნი #6 (50 აუცილებელი)	9789941196744	ცალი	2	12.00	24.00

13	572.75 - ხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 75 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	მაია მიროტაძე

გამყიდველი (გამგზავნი) – საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები) – საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონის ჩაბარების		

თარიღი(რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

13	

შენიშვნა

* დღგ–ს გადამხდელისათვის დღგ–ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ–ს და აქციზის ჩათვლით

0280110815 საასქონლო ზედნადების დანართი

	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII
9	დორიან გრეის პორტრეტი - ოსკარ უაილდი #8 (50 აუცილებელი)	9789941219993	ცალი	2	12.00	24.00
10	უთავო მხედარი - მაინ რიდი	9789994054114	ცალი	1	15.00	15.00
11	მარტოობის ასი წელიწადი - გაბრიელ გარსია მარკესი #43 (50 აუცილებელი)	2000683203543	ცალი	2	12.00	24.00
12	იავნანამ რა ჰქმნა - იაკობ გოგებაშვილი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 9-10 წლიდან)	9789941233739	ცალი	2	9.90	19.80
13	ვარსკვლავის მტვერი - ნილ გეიმანი	9789941235030	ცალი	2	11.90	23.80
14	ჰობიტი - ჯ.რ.რ. ტოლკინი #2 (ჩემი რჩეული მსოფლიო)	9789941241192	ცალი	2	10.00	20.00
15	ჯინსების თაობა - დათო ტურაშვილი (ქართულად)	9789941233449	ცალი	2	6.90	13.80
16	მე ვხედავ მზეს - ნოდარ დუმბაძე	9789941198649	ცალი	2	6.95	13.90
17	მოთხრობები #2 - ნოდარ დუმბაძე	9789941195334	ცალი	2	6.95	13.90
18	შაგრენის ტყავი - ონორე დე ბალზაკი #1 (50 აუცილებელი)	9789941240782	ცალი	2	12.00	24.00
19	მარტინ იდენი - ჯეკ ლონდონი #2 (50 აუცილებელი)	9789941195594	ცალი	1	12.00	12.00
20	შიმშილის თამაშები - სიუზენ კოლინზი #1	9789941155673	ცალი	2	9.90	19.80
21	შიმშილის თამაშები - ცეცხლის ალში - სიუზენ კოლინზი #2	9789941157707	ცალი	2	9.90	19.80
22	შიმშილის თამაშები - კაჭკაჭჯაფარა - სიუზან კოლინზი #3	9789941158032	ცალი	2	9.90	19.80
23	ცისფერი მთები - რეზო ჭეიშვილი (კინო ბიბლიოთეკა)	9789941231032	ცალი	2	6.90	13.80
24	სამანიშვილის დედინაცვალი - დავით კლდიაშვილი (სასკოლო ბიბლიოთეკა)	8177	ცალი	1	12.00	12.00
25	დათა თუთაშხია - ჭაბუა ამირეჯიბი (1ც გაფუჭებულია და მოვხსენი საი	9789994073405	ცალი	2	20.00	40.00
26	კორალაინი - ნილ გეიმანი	9789941231841	ცალი	2	8.90	17.80
27	დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა - ანე კატარინე ვესტლი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 7-8 წლიდან)	9789941230127	ცალი	2	7.90	15.80
28	პატარა პრინცი - ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 11 - 12 წლიდან)	9789941234828	ცალი	2	6.90	13.80
29	პატარა მაწანწალა - ჯეიმს გრინვუდი (მოსწავლის ბიბლიოთეკა 11 - 12 წლიდან)	9789941235870	ცალი	2	7.90	15.80
30	ტრიუმფალური თაღი - ერიხ მარია რემარკი #4 (ოქროს ბიბლიოთეკა)	900721	ცალი	1	14.00	14.00
31	ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა - ერიხ მარია რემარკი #5 (ჩემი რჩეული მსოფლიო)	9789941219375	ცალი	2	10.00	20.00

13 572.75 - ხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 75 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 მაია მიროტაძე

გამყიდველი (გამგზავნი) – საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15

მყიდველი (მიმღები) – საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16

ხელმოწერა

17

ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონის ჩაბარების

თარიღი(რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

13

შენიშვნა